



ხალის-მოწარა მიიღება:

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მედიკო-შეილის და კამპ, სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში.

თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღრისი: ВЪ ТИФЛИСЬ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.  
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულო-ბრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

# დროება

## საკოლონიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:  
თბილისში — 7 მან.  
სხვანაირად — 6 მან.  
სხვანაირად — 3 — 50 კ.  
სხვანაირად — 2 — 50 კ.  
სხვანაირად — 2 — 50 კ.

**შინაარსი:**—სამოსამართლო მაჩვენებელი. პოლიტიკა. — ანგლია. — იტალია. — მსოფლიო. — სლოვანების ქვეყნები. — ტელეგრაფები. — სხვა და სხვა ამბავი უცხო ქვეყნის ამბავი. — ახანონო განცხადება. — ლექსი: პროგრესისი. — საბიბლიოგრაფიო ცნობა.

**სამოსამართლო მაჩვენებელი.**  
თბილისის სამაზრო სამსჯავროში, 5 ივნისს მოისმენენ საქმეს:  
თავადი სვიმონ ანდრონიკაშვილიაგან თავადი აბაშიძის ასულის ანნას მოტაცებაზედ.

**პოლიტიკა.**  
**ანგლია.**  
საზოგადოებათ პალატაში რომ თხოვნა შეტანეს ამ კოტა ხანში: ქალთათვის აღმორბედი.

**უხსო მკვანის ამბავი**  
შლორენციაში დღესასწაულობა პრინცის ჰუმბერტის დაქორწინებაზე. — შეიერერკი. მსკარადი, ნაევის დოლი. იტალიის ხალხის მდგომარეობა.

პრინცის ჰუმბერტის დაქორწინებაზე მრავალი ხალხი მოატყდა შლორენციაში. სულ რომ კოტა ესთქვათ, ასი ათასი კაცი მიინც იყო ქალაქის მცხოვრებლებს ვარდა, რომელთა რიცხვი სხვა დროს ას ოცდა ათი ათასზე მეტი არ არის. რაც ქალაქის მცხოვრებლები იყო, ერთი იმდენის მიმატება რასაკვირველია ძალიან გაქვდდა ქალაქს ხალხითა. მართლაც ტყეა აღარ იყო! უნდა წარმოიდგინო, ამ დღესასწაულებზე როგორი არეულობა და რუსრუსი იყო შლორენციაში! სასტუმროები თითო დღეს ოც-ოცს ლირს აძლევდნენ ერთს ოთახში; სხვა დროს ორ ლირს როგორ გადასცილდებოდა ოთახის ფასი. საყავოები და რესტორანები დიდიდგან საღამომდის ისე იყო ხალხით გასილი, რომ მოსამსახურეები თავს რომ ევლარ ართმევდნენ, მეტის მეტი დალაღულობით მისუსტებულნი ძირს ვარდებოდნენ და თუ ვისმე ხელკარიელი უსმელ-უჭკელი არ გაუშვებდნენ, ღმერთისთვის მადლობა უნდა შეეწირა. ზოგი ერთი-ორათ უმატებდა ფასს საქამადებში, მაგრამ ბევრი ისე წაივლიდა, რომ არა ეღირსებოდა. არ იქნა სტუმრებს ვეღარ გაუეიდნენ. ანგლიელები მიინც ერთობ ბევრნი მოატყდნენ; როგორ შეიძლება, რომ უმითათ სადმე შესანიშნავი ამბავი მოხდეს! ძალიან კარგათ სთქვა ლუი-ბლანმა: „ანგლია განა მარტო ანგლიაა, ის კოტ-კოტათი ყველგან არისო“. რუსებიც იყვნენ, მაგრამ ყველაზე უფრო ბევრი ისე იტალიელები მოვიდნენ სტუმრათ.

რაცა ახალ დაქორწინებული პრინციები მივიდნენ შლორენციაში, დღესასწაულობაც მაშინ გაიმართა. სამს მათს კვირა დღით პრინცი ჰუმბერტი თავის მეუღლით სასიერნოთ გამოვიდნენ. წინათვე იყო დანიშნული ის ქუჩები, რომლებზედაც ახალს მეფე-დედაყალს უნდა ევლო. იმ ქუჩებზე იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ ეკიპაჟებს ნაბიჯითაც ვერ გაველოთ. მეფე-დედაყალი და-

ჩვეთი სამართლის მინიჭებაზედ, — ის თხოვნა 21,757 პირისგან არის ხელმოწერილი. ამ გრძელი სიის თავში გამოჩენილი გვარები სწორიან, მაგ: მისის სომერველისა, მისს შლორენს ნაიტანგელისა, რომელმაც გამოინინა თავი ავადმყოფების მოვლით, ლორდი და ლედი მმბერლისა და სხვ.

— გაზეთი „Times“-ში დაბეჭდილია მაგდალიდგან მოწერილი კორესპონდენცია, რომელიც ამბობს, რომ თეოდორეს თითონ მოუკლავს თავი: ექიმებმა ერთ ხმივა სცნეს, რომ კაროლი თავის ზელით მომკვდარა. იმათ ცნობას დაჰმოწმებია თითონ თეოდორეს საჭურველთმტვირთველი, რომელიც არ მოჰშორებია თეოდორეს მის უკანასკნელ სიცოცხლის წამამდე.

**იტალია.**  
შრანცუზის ჯარის გაგზავნა მკლესიის საფლოზბელოში იმასა ჰნიშნავს,

სეირნობდნენ იმ ეკიპაჟში, რომლითაც ტურინიდან მოვიდნენ. უკან ორი შტალმებისტერი მისდევდათ და იმათ უკან ორი სადღესასწაულოთ მორთული კარეტები, რომლებშიაც ისხდა იმათი სერტა. ხალხი რალაც არ მიეგება დიდი სიხარულითა. იმ დღეზე ჯარმა პრინცს ჰუმბერტს ხმალი მიართვა საჩუქრათ. ამ საჩუქრის წასაღებათ ჯარმა გაგზავნა პრინცთან დეპუტაცია, რომელშიაც ერინენ ყველა ხარისხის მხედრობანი. თვე კაცად იყო სამხედრო მინისტრი ბერტოლე-შიალე, ლენერალი ლამარმორა და შლორენციის სამხედრო მარხის უფროსი ლენერალი ძადორნა. საღამოს შეიერერკი იყო დანიშნული. ამისთვის მდინარე პრნოზე გააკეთეს ხის ხიდი და შუაგულ ხიდზე იყო ერთი ფარი ამართული. შველაზე პირველ განათლდა ფარი, რომელსაც ჰქონდა ძველებური ციხის სახე, იქით და აქეთ იმას ჰქონდა მიდგმული ორი კოშკი, კოშკებზე იყო დადგმული ცხენოსანი ძველები, ერთი სახედა მიკტორ-მმმანუელსა და მეორე მმმანუელ-შილი-ბერტსა. ის მთელი აგებულობა ერთ წამს განათლდა, მხოლოდ მიკტორ-მმმანუელის ძველი დარჩა დაჩრდილული; რალაც დაემართა გვიანობამდის ვერ განათლეს. შეიერერკი გაგრძელდა ერთს საათს; შემდეგ პერგოლის თეატრში ბალ-მასკარადი იყო დანიშნული. იტალიური მასკარადი არც რუსულს ჰგავს და არც ფრანცუზულს. რალაც შუათანაა ამათშორის. ლოკებიდან მდიდრულათ მორთული ბალის ტანთსაცმლით იტვირებიან შეძლებული ოჯახის ქალები; პარტერი კი მთლათ მასკებით (ახნაპირებით) არიან აგებულნი. ისინი სულ კაცურად არიან მორთულნი, ზოგს ფიგაროს ტანსაცმელი აცვია, ზოგს ჟოკებისა, ზოგი მატროსები გგონია. მასკები სულ დაბალ წოდების კაცები არიან ხოლმე. იტალიური მასკარადი მშვენიერი სახანავია. აჭრელებული ტან-საცმელი ახნაპირებისა (მასკებისა), ლოკები მდიდრათ მორთული საზოგადოებით გაესებული და თვითონ თეატრი მხესავით გაბრწყინებული გავის შეუქითა, სულ ესეები ძალიან კარგს მთაბეჭდილებას აძლევს კაცსა. მაგრამ ამას გა-

რომ რომის საქმე უფრო და უფრო ვრცელდება. ამასვე რომში ბევრნაირად ყაყანებდნენ და ფიქრობდნენ. ამბობდნენ, ვითომც ფრანცუზები იტალიას გაჰგზავნიან 40,000 ჯარის კაცსა იმ აზრით, რომ ეს ჯარი რომის საქმეს შეეწიოსო. პარიჟში ძალიან გახელებულნი არიან რომ გენერალმა მენაბრემ უგულუბელს ჰყო მისადმი წარდგენილი საშუალება, რომლითაც შეიძლება რომის საქმე დაბოლოებულიყო; ეს საშუალება იმაში შესდგებოდა, რომ პაპის მთავრობა მკლესიის საფლოზბელოს გარეშე ქვეყნებსაც მიეღოთ; თუ ეს მოხდებოდა, მაშინ შრანცია თავის ჯარს უკანვე დაბრუნებდა. გენერალი მენაბრე ისევე იმას ამჯობინებს, რომ რომის საქმეები ახლანდელ მდგომარეობაშივე გაუშვან, რადგან თვით სეკტემბრის კონვენციამაც არ დაუშალა ფრანცუზებს იტალიის საქმეებში გარეუღიყენენ. ამასთან იტალიის მთავრობა თავს დიმიტირებდა, რომ პაპის ამ

რდა სხვა შესანიშნავი ამბავი კი არა მოხდებარა ხოლმე იქა. იტალიელმა ქალმა ინტრიგობისა არა იცისრა. პარტერში მყოფი მანდილონები არ ტანციობენ, და მასკარადის დაშლამდის ორკესტრი პოლიცისა და ვალისის მეტს არას უკრავს. პერიგოლის ბალ-მასკარადში განსხვავებული არა ყოფილარა, ძალიან ცხელიდა და სიციქროც დიდი იყო; კაროლის სახლობას გულ-ცივად მიეგებნენ; პრუსიის პრინცს კი ჯველგან დიდის პატივის ცემით იღებდნენ და იმის დანახვავს გაცხარებულს ტაშს სცენდნენ. მაღალმა საზოგადოებამ ლოკებში სკამა ვახშამი. ის მოდა დიდი ხანია, რაც იტალიაში შემოიღეს; ლოკებში გაშალეს სტოლი, მელხიორის ავეჯულობას რახნარუხნი გაჰქონდა და ზედ მრავალგვარი ტკბილი საქმელები ბრჭყინავდნენ; ორშაბათს მინდორზე ჯარები ათამაშეს. ის იყო ოთხს მათს. ხუთს მათს ნაეების დოლი (მარულა) გაიმართა პრნოზე. შეიბნენ ექვსი ნაეი სამ-სამი ერთად. ბოლოს იმ ექვს ნაეში რომ ორმა ნაემა გაასწრო, ისინი დააყენეს და გააქციეს. იმ დღეს დილით ცხენების დოლი მოხდა. აქ ყველაზე უფრო შესანიშნავი ის იყო, რომ პრუსიის პრინცს აღტაცებით მიეგებნენო. იმ საღამოს კაროლის სასახლეში ბალი დაიწყო და ორი ათასი კაცი იყო ამ ბალზე მიწვეული. ბოლოს ექვს მათს დანიშნეს ტურნირი. ამ ტურნირზე უნდა გამოსულიყვნენ მეთხუთმეტე საუკუნის რაინდები იმ დროის მორთულობითა; იქ უნდა წარმომდგარიყო ძველებური ბრწყინვალე ცხოვრება იტალიის სატანტო ქალაქებისა: ტურინისა, მილანისა, ვენეციისა და ნეაპოლისა. ძაშინში დროებით ალაგეს ამ ტურნირისთვის ამფითეატრი, სადაც უნდა დატეულ იყო ორმოცი ათასი კაცი. ასე ამბობენ თუმცა დიდს ამბავს მოელოდნენ, მაგრამ ბევრი არა ყოფილარა შესანიშნავიო. სატურნირო ასაარეზი ძლიან ფართო იყო და ზედ ორმოცი ათასი რაინდი ჰკრეს ტანს საცმელში ირეოდა: სხვადა-სხვა ფერის ლერბები, ბაირალები და ემბლემები აჭრელებული ხალივით მოფენილი იყო. რაცა ვარჯიშობა დაიწყეს, ღმერთმა შეინახოს! ასეთს ცხენებზე ისხდნენ ძველებურათ მორ-

გვარი უფლება მიეღო, რადგან პაპის მთავრობამ, არა თუ არა სცნა იტალიის ერთობა, არამედ მუდამა მტრობდა იმას.

**ოსმალეთი.**  
სულთნის სიტყვა. შრანციულ „მონიტერში“ დაბეჭდილია სიტყვა, რომელიც სულთანს წარმოუთქვამს 10 მაისს, ოსმალეთის სახელმწიფო თათბირის გახსნის დროს. ის სიტყვა შემდეგია: „სახელმწიფოს მოვალეობა ის არის, რომ ყოველს გარემოებაში დაიცვას ყველას სიმაართლე და თავისუფლება და არ მოქმედებდეს თვით მნებელობითა და ძალადობით. თუ აღმინისტრაცია ძალადობითა და თვით-მნებელობითა ხელმძღვანელობს, მაშინ ის იქნება ბოროტება, უღელი, და სახელმწიფოს წრეს გასული სიმაართლე. მსეთი წრეს გასული სიმაართლე ურიგოებაა, მაგრამ არც იმას ვრაც საჭიროდ, რომ ხალხს დაუთმო და თავისუფლების კა-

თული რაინდები, რომ წყმპოში ნათრეცს კატებსა ჰგავდნენ. მართი ბალი კიდევ გააკეთა ქალაქმა და იმით გათავდა პრინცის ქორწილის გადახდა. . . .

ხალხის აღზრდაში თავისუფლება დიდი საქმეა. თუნდ ახლა შლორენციის დღესასწაულობაზე რომა ესთქვათ, ძალიან დიდი ხალხი იყო ქალაქში შეგროვებული. ზოგჯერ მაინდებზე თუ რამე შესანიშნავი ამბავი მოხდებოდა, ისეთნაირათ გასქელდებოდა მყურებელთ გროვა, რომ კაცს განძრევა არ შეეძლო; თითონ ეკიპაჟები თითო ნაბიჯს რომ წინ წადამდნენ, შემდეგ ერთი საათი იქვე უნდა მდგარიყვნენ, განძრევა არ შეიძლებოდა. ის ხალხი იდგა ისე, რომ არაინ არ შეიწროებულა და არ გაუპატიურებულა. მრთხელაც არ მინახავს, რომ ვინმე ერთი მეორეს შედავებოდეს და მუშტა ეჩვენებინოს. იმდენი ეკიპაჟები იყო და არა ვის იმთვანს არა ენებოარა. მართალია, პოლიცია ყველგან იყო, მაგრამ ის მარტო თვალს ადევნებდა; პოლიციელს არაინ არ შეუნიშნავს.

ამ დღესასწაულობაში ორი შესანიშნავი ამბავი მოხდა. ამ ამბებს რაიმე მნიშვნელობა რომ არა ჰქონდეს, არ შეიძლება; კაროლის სახლობას ხალხი გულ-ცივად შეხვდა, და პრუსიელს პრინცს კი დიდს აღტაცებით. პრუსიელი პრინცი საცა მივიდა, ყველგან დიდს აღტაცებით მიეგებნენ. ამათ შრანციის იმპერატორისთვის უნდოდათ ვერძობებინათ, რომ სადოვის გმირი იტალიელ ხალხისთვის უფრო საყვარელია, ვიდრე ნაპოლეონი, რომელიც დღემდის არ ანებებს რომს და ბრჭყლებში ჰყავს იტალიის დედა ქალაქია; პრუსიამ კი 1866 წელს მომხდარის ომით იტალიის ერთობას ხელი შეუწყოვო. ლუდოვიკი—ნაპოლეონი ამ ამბავა ძლიერ დააფიქრა. მილკლემის I შემკვიდრისადმი გამოცხადებულმა სიყვარულმა იქნება უფრო მოცხმაროს იტალიის ერთობას და რომიდგან თავისი ჯარი მალე გამოაყვანიოს ნაპოლეონსა. მენაბრემ მისწერა ბაირბალდის, რომ რომის საქმე, როგორც ჰგონიათ, ისე დიდხანს აღარ გასტანსო: თავისი უკმაყოფილება შრანციამ გამოაცხადა და ის იყოყო. პრინცი ნაპოლეონ-



ნონიერი საზღვარი დაგარდეთ. სიტყვა „თა-  
ვისუფლება“ იმას არა ჰხატავს, რომ ყველა  
კაცს მიენიჭოს იმ გვარი სიმაართლე, რომ რო-  
გორც ჰსურდეს, ისე იმოქმედოს და არა ვი-  
თარ უფლებას არ შეეძლოს იმის საქმეში გა-  
რევა. მსგ რომ იყოს, მაშინ ერთის საქრო-  
ება მეორის საქროებასა და მოთხოვნილებას  
შეეხლება; ეს კი სრულებით მანებელია, რა-  
დგან მაშინ ხალხი, თვით ნადირებსავეთ და-  
სკამდა ერთმანერთს. მართლაც, ერთი პირის  
საქროების დაკმაყოფილება მხოლოდ მეორე  
პირის საქროების დათრგუნვით შეიძლება.  
და რადგან კერძო პირების საქროება ერთი  
მეორის დაუზარალებლად არ დაკმაყოფილ-  
დებიან, ამისთვის რიგი და მართებულია, რომ  
კერძო საქროება საზოგადო საქროებას ექ-  
ვემდებარებოდეს. თავი და, თავი კანონები,  
რომელზედაც არის დამყარებული ადმინის-  
ტრაციის მოქმედება, რამდენიც მომეტებუ-  
ლათ გამომდინარებენ სიმაართლის თანასწო-  
რობისა და მართლმსაჯულების პრინციპი-  
დგან, იმდენი მმართველობა თავის საქმეს  
უფრო უკეთ აღასრულებს, რადგან ყველა უბე-  
ღურისა და დახვდომილის ნუგეში და საფარ-  
ველი იზოგება არა მართა უფლებებში, არა-  
მედ სამართლიანობაშია. სახელმწიფოს კე-  
თილდებობისათვის საქროა ისეთი ძალა, რა-  
მელსაც შეეძლოს განურჩევლად ყველა თა-  
ვისი წევრის სიმაართლის დაფარვა: ამ გვარი  
ძალა გამომდინარეობს სახელმწიფოს სიმდი-  
რისა და კეთილ-დღეობისაგან. მარნა კეთილ-  
დღეობა ხალხისა და მხარის ბუნებით სიმდი-  
დრით სარგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლე-

ბა, როდესაც შემოზღუდული იქნება ყველას  
პიროვანი სიმაართლე და დაკული ყველას უძ-  
რავი და მოძრავი ქონება, — ხოლო ამ მიზან-  
დის მიუხედავად ჩვენ წესიერად ვაწყობილ, კე-  
თილ სენინდისიან და ყველა ბოროტმოქმე-  
დებისაგან განზორბებულ ადმინისტრაციის  
(მმართველობის) საშუალებით. საზოგადოე-  
ბა თუ კეთილდღეობაშია, ეს იმის ნიშანია,  
რომ ყველა ადმინისტრაციული დებულება,  
ყველა კანონი რიგიანად არის მოაზრებული  
და მიმართული. კანონის მდებელნი ყოველ  
დროს ამ კეთილ აზრს მისდევდნენ, და არა-  
ოდეს არ შეიძლება კანონიერად ჩაითვალოს  
ის სახელმწიფო დებულება, რომელიც პირო-  
ვანი სიმაართლისა და საკუთრების წინააღმ-  
დეგია და ამით საზოგადო კეთილდღეობის  
შემრყევა. ახლა რასაკვირველია, რომ ჩვენ  
ვერ ვისარგებლებთ იმითი, რაც აქამდის ამ მხა-  
რის კეთილდღეობისთვის იყო აღსრულებუ-  
ლი. აქამდის გამოცემული კანონები რომ  
ხალხის მოთხოვნილებასთან ყოფილიყვენ  
შეფარდებულნი, უეჭვილია ახლა მსმალეთი  
არც ერთ დღე განათლებულ და დიდად მო-  
წყობილ ევროპის სახელმწიფოს არ დაუეარ-  
დებოდა. ნდობის დაკარგვა, შიში, უთანხმო-  
ება და ერთმანერთ შორის ბრძოლა უპირ-  
ველესი მიზეზნი არიან მრავალი სახელმწიფო-  
ების დაცემისა და ხალხის გასაწყლებისა. ამ  
გვარ მდგომარეობაში სრულებით შეუძლე-  
ბელია ვაჭრობის წარმატება და საზოგადო  
სამართლიანობა. ახლა რომ მომავლისათვის  
უმჯობესი წყობილობა შემოვიღოთ და ძველი,  
ურიგო კი უკუ ვავდოთ და ამ გვარად დავი-

მარხთ ყველა ჩვენი ქვეშევრდომის სიმა-  
ართლე, ამ აზრით ჩვენ ახლად შევადგინეთ  
სახელმწიფო თათბირი, რომლის წევრებად იქ-  
მნიან ჩვენ ქვეშევრდომთაგანი ყველა წო-  
დებისა და დასიდაგან. მეორე უმაღლესი დაწე-  
სებულება-უზენაესი სამსჯავრო-მოწოდებუ-  
ლია იმისთვის, რომ ყველა ჩვენი ქვეშე-  
ვრდომისთვის სრული სამართლიანობის თავ-  
დები იყოს: რომ იცავდეს ყველას უშიშრო-  
ბას, პატიოსნებასა და ქონებას. ამ ორი თა-  
თბირის წევრებმა უნდა იგულონ ჩვენი იმე-  
რია ერთიან, ყველა ჩვენ ქვეშევრდომთ მჭი-  
დრო კავშირისაგან შედგენილ სხეულად; ისი-  
ნი მოწოდებულნი არიან რომ წრფელის გუ-  
ლითა და თანხმობით იშრომონ ყოველ შემ-  
თხვევაში — უბედურშია და ბედნიერშია —  
და ამასთან მხედველობაში ყოველთვის უნდა  
იქონიონ ჩვენი ქვეშევრდომთ კეთილ-დღეო-  
ბა, ყველა ჩვენ უფლების ქვეშე მყოფი ქვე-  
ყნების კეთილ-მდგომარეობა და ხალხის გა-  
ნათლებლაში წარმატება, რომელიც ჩვენ სუ-  
ლით და გულითა გესურს. და რაც შეეხება  
სარწმუნოებას, ამ შემთხვევაში ყველამ თა-  
ვის საკუთარ მსჯელობასა და დაჯერებას უნ-  
და მისდიოს; ამხედ არა ვითარო წინააღმდე-  
გობა არ შეიძლება. ყველა ჩვენი ქვეშევრო-  
მები, თუნდ სხვა და სხვა სარწმუნოებისა იყე-  
ნენ, რადგან ერთი დედის (ოსმალეთის) შვილინი  
არიან, სარწმუნოებისა გამო არ უნდა მტრობ-  
დნენ ერთმანეთს. მართი სიტყვით კანონების  
შეცვლა სრულებით უნდა ეთანხმებოდეს იმ  
საგანს, რომლისთვისაც არიმ დანიშნული, და  
ამასთან ყველა კანონი დროების მოთხოვნი-

ლებისაგანაც უნდა გამომდინარებოდეს. მს-  
ქვემართება მტკიცდება იმ შემთხვევაში  
თა და საზოგადო წარმატებით, სადამდისაც  
ზოგიერთა ევროპის ხალხებმა მიასწივეს. მე  
აღვასრულე სამართო ვალი, რადგან ზევით  
ნათქვამი მოსაზრებით აგისხენით სახელმწი-  
ფოს ყველა წევრის სიმაართლე და ამასთან  
ისიც, რომ ახლად დაწესებული თათბირის  
საფუძვლად სწორედ ეს სიმაართლე უნდა  
იყოს. ღმერთმან აკურთხოს ჩვენი დაწყობი-  
ლი საქმე.

— ათინაში დანიშნულმა ანგლიის დესპანმა,  
უ. მსკრინმა, თავის კანდიში მოგზაურობით  
ბევრი ყაყანი და ფიქრები აღძრა. ხმა გავარ-  
და, ვითომც იმის მოგზაურობის აზრი ის იყო,  
რომ კრიტიკებისაგან შეეცოდა: დათანხმდე-  
ბოდნენ თუ არა, რომ ანგლიის მთავრობას  
ისინი თავის მფარველობის ქვეშ მიელო. ამ  
ხმის სიმაართლეს ჩვენ ვერ უთავებდებთ, რა-  
დგან საბერძნეთიდან მოსულ ამბებს უფრო  
დაეჯერებათ; ისინი ამტკიცებენ რომ უ. მსკ-  
რინი პრიტში იმ აზრით მოგზაურობდა, რომ  
თავის თვლით ენახა ამ ქვეყნის საქმეთ  
მდგომარეობა. თუმცა ანგლიის დიპლომატე-  
ბი (მთავრობის პირები) მეგობრულად უცქე-  
როდნენ ოსმალეთის მმართველობას, მაგრამ  
მაინც ანგლიის აგენტები, ელჩების შემწეო-  
ბით ყოველთვის დაურიდებლად ატყობინებ-  
დნენ თავის მთავრობას ოსმალეთის უფლე-  
ბის ურიგო და ბოროტმოქმედ ხასიათს. ამი-  
სათვის იმედი უნდა გექონდეს, რომ უ. მსკ-  
რინის ძანდაში მოგზაურობა გამოუთქარა-

ნი რომ შევიცარიაში მიდიოდა, გზაზე ბრძა-  
ნება მიიღო, უკან დაბრუნდი, შლორენციაში  
უნდა წახვიდეო. მილანში მიიღო მეორე  
ბრძანება და ახლა პარიჟში არის.

პრუსიელიმა პრინცმა ისურვა იტალიური,  
პალატის ნახვა, პრესიდენტმა ლანცამ მაშინ-  
ვე გადასცა თავის თანამდებობა ვიცე პრეზი-  
დენტსა და მიეგება პრინცსა. ლამარმორა არ-  
სად არ გამოჩენილა; არც ტურინში, არც აქ  
დღესასწაულებზე, რომ სადოვის გმირს არ  
ჩვენებოდა. ძუსტოცაზე დამარცხებულს ღე-  
ნერალს რცხვენია იტალიის მოკავშირისა,  
რომელმანაც იმ ხანებში, როცა იტალია აე-  
სტრიას შეეება და ლამარმორის წყალობით  
ძუსტოცის ბრძოლა წავაო, სადოვთან პრუ-  
სიის ჯარს დიდი ბრძოლა მოაგებინა და იტა-  
ლიის ერთობა დაამკვიდრა. არც რიკაზოლი  
გამოცხადებია პრუსიის პრინცსა. შრანცუ-  
შული განხეთები რიკაზოლისა აბრალდებენ  
ძუსტოცაზე დამარცხებას; მაგრამ „საიდგან  
სადაო, წმინდა საბაო“ — ჩვენში იტყვიან. რი-  
კაზოლის რა ბრალია? საკუთრად სამხედრო  
საქმეში რიკაზოლი არა რეგია. ის ყოველ-  
თვის წინააღმდეგი იყო შრანციის მოჩრჩილე-  
ბისა; კიდევ ამიტომ არ დაენახებია ისა მიკ-  
ტორ-მმანუელს და ნაპოლეონს. ამ ორთა-  
ვეს ძალიან უყვართ ლამარმორა, რომელიც  
მუდამ ცდილობს შრანციისთან კავშირის შე-  
კვრას. ძუსტოცის ბრძოლა უგუნურობით  
მოხდა, თუ ნაპოლეონის ბრძანებით, ეგ სულ  
ერთია; მაგრამ საქმე ის არის, რომ რიკაზო-  
ლის მაგ საქმეში მოაწილეობა არა ჰქონია.

მეფე-დედოფალი მომავალს კვირას აპირებს  
ჯერ ბენუაში წასვლას და მერმე ნეპოლში.

როდესაც პრინცის ჰუმბერტის და პრინცი-  
ის მარგარიტის ჯვარის წერა იყო ვენერალი  
მენაბრეა კარის ნოტარიუსობას ასრულებდა  
და ამისთვის სამოცი ათასი ლირი მიიღო სა-  
ჩუქრათ. პაპს პიოსაც IX ამდენი ფული და-  
უნიშნეს, მაგრამ იმან უარი სთქვა. შურნა-  
ლები ამბობდნენ, ვითომც ეს საჩუქარი ნება-  
რთვისთვის იყო და დანიშნული, რადგან მარ-  
გარიტა და პრინცი ჰუმბერტი ბიძაშვილები  
იყვნენო. ძათოლიკების წესით ბიძაშვილების  
ჯვარის წერას ერთმანეთზე არავითარი ნება

რთვა არ უნდა, ამიტომ რომ ბიძაშვილების  
შეუღლება კათოლიკებში ადათია.

მს საჩუქარი უფრო იმისთვის იყო დანიშ-  
ნული, რომ პაპს განეთავისუფლებინა პრინ-  
ცი ჰუმბერტი თავის წყვეისგან.

იტალიური პოლიცია ძალიან ზრდილობი-  
ანი და რიგიანია მოქმედებაში, მაგრამ საუ-  
ბედუროთ იმასაც შრანციის პოლიციის ნაკ-  
ლულევენება სჭირს: ხან-და-ხან ტყუილ-უბ-  
რალოთ იცის გამოცხადება, მე დიდს შეთქ-  
მულობას თავს წავატყდიო.

სტუმრები გავიდნენ შლორენციიდან. მს  
იმას დაცარიელებულს ქუჩებს მაშინვე შე-  
ეტყობა.

პარიჟის ამბები. — დეპუტატების ამორჩევა. — სენა-  
ტში თავისუფლათ სწავლების შესახებ ბასი. — მახ-  
ფხულის შექცევა. — ჰაეროსტატი.

— პარიჟში მეტათ გაღვიძიებულია ამ ჟამად  
საზოგადო ცხოვრება. მეტად საინტერესოა  
თვალ ყურის დევნება, თუ როგორ გადას-  
წყდება ის საზოგადო საქმეები, რომელთაც  
თავი წამოუყვიათ და იმათ გამო ახლანდელი  
შრანცია ორ პარტიათ გაყოფილა. მართი მხა-  
რე ცდილობს ეს საპოლიტიკო და საზოგადო  
საქმეები ისევე უწინდელს გზაზე დააყენოს  
და იმათ წარმატებით მსვლელობას კრიკა  
გაუკრას. ამ პარტიას ეძახიან ძველის მიმდე-  
ვრებს ანუ კონსერვატორებს. მეორე პარტი-  
ას ჰსურს იმავე საქმეებს მისცეს ისეთი მსე-  
ლელობა, როგორც ამ დროს შეეფერება,  
დააბოლოვოს ეს საქმეები ისე, როგორც მოი-  
თხოვს ახლანდელი საზოგადოების კეთილ-  
მდგომარეობა და იმის წარმატება. ამ პარტი-  
ის მომხრეებს ეძახიან პროგრესისტებსა. რაც  
აქამდის მერობას ართობდა და აწუხებდა, ის  
საქმეები ყველა ერთბაშათ გამოტყვერენ,  
საზოგადოება მკვირცხლად არჩევს ამ საქმე-  
ბსა, ესმის იმათი მდგომარეობა და ჟრჯოლით  
ესწრება ამ სხვა და სხვა პოლიტიკურის და  
სოციალურის პარტიების შედავებაზე ერთმა-  
ნერთთან. იმათ ისევე დიდს მხნეობით გაიღვი-  
ძეს. შეხზე წამოდგნენ და ჟრჯოლით მიისწრა-  
ფიან, რომ საზოგადო საქმეების გადაწყვეტა-

ში მონაწილეობა მიიღონ. ისინი ხმა-მალა  
ჰყვირიან, ჩვენც ვაგვრით იმ საქმეებში, რა-  
მელთაზედაც დამოკიდებულია ხალხის და  
სახელმწიფოს წარმატებაო. უცხო ქვეყნის  
მოგზაურნი და რუსები, რომელნიც წყლებზე  
მიდიან მოსაჩრჩნათ და ზაფხულს დროს გასა-  
ტარებლათ, სრულებითაც ვერ ნიშნავენ, თუ  
რამდენათ გაიღვიძებულია ამ ჟამათ კულიერი  
ცხოვრება შრანციაში.

მრავალს დიდსა და პატარა საქმეებს შო-  
რის სამი უაღრესი საქმე ავითარებს და არ-  
თობს ამ ჟამად მთელს პარიჟსა: დეპუტატე-  
ბის ამორჩევა, საპოლიტიკოს ეკონომიური  
დავა კანონის მდებელს კრებაში და სენატში  
დავა სამხედველოების თხოვნაზედ, რომელსაც  
ჰსურს, რომ უმაღლესს სწავლებას თავისუ-  
ფლება მისცეს. — მართს ვისმე მთავრობის  
კანდიდატს შორჯოს ირჩევდენ დეპუტატათ.  
მთავრობის მომხრე ვახეთებს და კერძო პი-  
რებს ცაში აჰყავდათ ეს კაცი, ამისთანა და  
ამისთანა კარგი თვისების კაციოა. ამასთანავე  
უმატებდნენ, რომ შორჯო მთავრობის კანდი-  
დატიაო და უეჭველათ ის უნდა ამორჩესო;  
როდესაც ამომრჩეველებმა გააშავეს, არ უნდო-  
დათ მთავრობის კანდიდატი ამორჩიათ, მაშინ  
თვითონ მთავრობის მომხრენი გადაუდგნენ  
და, უწინ რომ ქებით ცაში აჰყავდათ, იმ  
კაცს ახლა ლანძღვა დაუწყეს და იძახოდნენ,  
არა ეგ სადაური მთავრობის კანდიდატიაო.  
მეორე კანდიდატსაც ისეთივე საქმე მოუვი-  
და. მართი სიტყვით მთავრობის მომხრეების  
მოქმედება სასაცილოა. რომ დანიხსეს ხალხი  
იმათ აღარ უჯერის ცრუპანტელოებას მიჰყვეს  
ხელი. — შრანციის ეკონომიურს მდგომარეო-  
ბაზე ბასი კანონის მდებელს კრებაში ძალი-  
ან საინტერესოა რამ არის, მაგრამ ამაზე ბე-  
რის ლაპარაკი არ არის საქრო, რადგან  
ამ საგანზე პოლიტიკურს განყოფილებაშია  
მოხსენებული. ახლა ორიოდ სიტყვა უნდა  
ესთქვა სენატში დაწყებულს დავაზე უმაღლე-  
სი სწავლების თავისუფლების შესახებ. ამ  
საგანზე გამოიკა ორი მომცრო თხზუ-  
ლება, ან ბროშურა: ერთია შლაიფისისა და  
მეორე არხივისკოპოსის ღუპანლუსი.

ლოქტორი შლაიფისი არის მოგონებული

სახელი ნამდვილათ იმას დოქტორი შულოენი  
ჰქვია. თავის თხზულებებზე შლაიფისს აწერს.  
ის მოურიდებლათ ჰკიცხავს კლერიკალებს  
(სამხედველოებს). აი, რას ამბობს ის თავის  
ბროშურაში: „მთ მშვენიერს დილას თქვენ  
არ იყავით, რომ თავს დავით მედიცინის  
ფაკულტეტსა, კლერიკალებს ეუბნება. მს  
იყო 1823 წელსა, მინისტრი ძორბერი წმინდა  
კონგრეგაციის მოსამსახურე ბრძანდებოდა.  
მანა არ გახსოვთ, თქვენდა სასირცხოთ ზო-  
გორის ბოროტებით მოიქეციოთ გამარჯვების  
დროს. მედიცინის ფაკულტეტს რაც დიდება  
ჰქონდა, თქვენ სულ ერთიანათ წართვით.  
მინ და ვინ ჰყავდა დიდებულ კაცებთაგანი იმას?  
მოკვლენი, შუსი, პინელი, შოსური, პელ-  
ტანი, ლუბუა, ლეჟენტი და ბევრი კიდევ  
სხვა. თქვენმა უგუნურებამ იმდენათ გაგაბრა-  
შათ, რომ ეს დიდებული გვამები შკოლიდგან  
გამოჰყარეთ, იმ აზრით, რომ ისინი ვითომც  
გულ-მხურვალე კათოლიკები არ ყოფილან.  
თქვენ იმათ მაგივრათ იმისთანა კაცები დააყე-  
ნეთ, რომელნიც უგუნურები იყვნენ, მაგრამ  
კარგი კათოლიკები: ბუგონი, გიბერტი, ძლა-  
ვიზონი, ლანდრ-ბოვე და სხვანი, რომელნიც  
მეცნიერებისთვის ერთობ მსცოვანნი იყვნენ“:  
როგორც კი შლაიფისის ბროშურა გამოვიდა  
უფ. ღუპანლუმ თავის მხრით გამოსცა წინა-  
ღმდეგი პასუხი, რომელშიაც ეს ასჯერ არის,  
რომ განუმეორებია ყველასგან ცნობილი  
აზრი. ღუპანლუმ მართა უშვერს სიტყვეს  
არ სჯერდება თავის ბროშურაში, ის კიდევ  
იგინება და ლანძღავს თავის წინააღმდეგებს  
არამც თუ წინანდელს ბროშურებში, არა-  
მედ ამ უკანასკნელს წიგნშია, რომელიც  
კათოლიკების ხელსამძღვანელოთ გამხდარა  
სენატში დავის დროს.

როგორც სჩანს პარტიები არ მჯდარან  
ხელ-გულ დაკრეფილი. მითოეული იმათგანი  
ცდილა, რომ საზოგადოება თავის აზრის მი-  
მყოლათ გაეხადნა. შურნალები და ვახეთებიც  
ორ ბანაკათ გაიყვნენ, ასტეხეს ასეთი დავა  
და ვაი-ვაგლახი, რომ, გიგონებოდათ, სწორეთ  
ეს არის ერთმანეთს მივარდებიან და ვაწეწა-  
ვენო: ცილის წამება, დაციწვა და მუჭების  
ტრიალი ბევრი იყო... ბოლოს დადგა შეიდი



ებს მეროპას კრიტის საქმეთ ნამდვილს მდგომარებას და ახლო გაცნობს ოსმალეთის აღმინისტრაციის მოქმედებას. რაც უნდა იყოს, აქედგანა სჩანს, რომ სენ-ჯემის (ლონდონის საკოროლო სასახლე) კაბინეტი გულ-დან-დობილად არ უტკერის ოსმალეთის მთავრობის მოქმედებას და იმის თავი წარმომადგენლების წადაცებას. კრიტის დამწვინება სულ ვერ იწვევს წინ. რევილუცია (აღრევილობა) ისევ ისე არის გაძლიერებული. ამ თვეში ბრძოლა მომხდარა და ორივეში ოსმალელები დაუმარცხებიათ. უკანასკნელი ბრძოლა ძანდის ქალაქის ახლოს ყოფილა და რამდენსამე საათს გაგრძელებულა. ორი ათს განდგომილებს დაჰსხმია სამი ბატალიონი ქეიეთი ჯარი, ხუთასი ვოლონტერი და სამასი ბაში-ბუზუჯი ორი ზარბაზნით; მაგრამ ოსმალეების ხერხსა და ძალას ფუჟად ჩაუვლია; რამდენსამე საათს შემდეგ განდგომილებს დაუმარცხებიათ და უკან დაუწვივინებიათ ოსმალეთის ჯარისთვის. ანგლიის გემის კაპიტანი დასწრება ამ ბრძოლაში და ის ამბობს: კანდიელები ლომებსავით იბრძოდნენო.

— როგორც ამბობს გზეთი „France“-ი, ოსმალეთის მთავრობამ ბძანა, რომ ყველა სასულიერო წოდების მუსულმანს სახლი გაუჩხრიკონ და რაც თოფიარალი უპოვნონ სულ წართონ. თუ ეს მართალია, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ცელილებების მოხდენის შესახებ სულთნის განზრახვამ ძლიერი უკმაყოფილება აღძრა ოსმალეებშია და მეტადრე უღელმებში (სასულიერო პირებში), რომელნიც ირაცხებიან ისლამის სიწმინდის მცველები.

შასი, იმათებურათ 19 შასი იყო. სენატის კარები გააღეს და დაიწყეს შასი თავისუფალ სწავლების შესახებ შეტანილს თხოვნაზე. პროვინციებიდან მოვიდნენ არხი-ვისკოპოსები, სენატორები და შეიტაკნენ. ეს უნდა ყოფილიყო პირველი და უკანასკნელი შეხება საქმე ამ შეხებით უნდა გადაწყვეტილიყო. სიტყვიერი ბრძოლა კლერიკალების (სამხედროების) მხრით ასტეხა სენატორმა ლუპენმა. თუმცა იმისი სიტყვა ძალიან გაგრძელდა, მაგრამ გულის წმინდით რომა ეთქვათ უხვირო რამ იყო ლუპენი თავის სიტყვაში სდევნის სენ-სიმონს, შურის, პონტს, პრუდონს; აზროვან-კაცებს, მეცნიერებს და ფილოსოფოსებს. იმას უნდა, რომ ყველა იმ ფიქრზე და გზაზე დაყენოს, რომელზედაც თვითონ სდგას, მაგრამ ახლანდელს დროში ვინც კი გონებით და ზნეობით წარმატებას ითხოვს, ყველანი წინააღმდეგნი არიან იმის მსკოვანი აზრისა, რომელსაც შეუძლიან მხოლოდ ბნელი მოჰფინოს და არა ნათელი ხალხის ცხოვრებაში.

ლუპენს შემდეგ დაიწყო სენ-ბევემა ლაპარაკი... მაგრამ ვიდრე იმის სიტყვაზე რასმე ვიტყვოდეთ, საჭიროა ორი ოდეს სიტყვა ვთქვათ იმ სასაცილო დაწამებაზე, რომელიც მოუგონა სამღვდლოებამ. დიდს კრიტიკოსს, სახელს განთქმულს ავტორს „პორ-როიალისას“ და ერთს ფრანკულულ ლიტერატურის მნათობთაგანს უფ. სენ-ბევეს ამ ცოტას ხანში ერთი ახიერებული საქმე შეეშინება. სენ-ბევეი ყოველს პარასკევს ჰპატარავს ხოლმე სადილზე თავის მეგობრებს და მოკეთებს. აი, ვინ არიან იმის მეგობრები: პრინცი ნაპოლეონი, ტენი, შლობგერი, აბუ, რომოლები-საც კლერიკალებს (სამღვდლოებებს) არა სწამთ რა. მათ პარასკევს სტუმრებმა კარგი მადიანი სადილი მიირთვეს სენ-ბევეთან. საუბედურათ ეს იყო წითელს-პარასკევს. ბულომავიწყოებით მოუვიდათ, თუ ვერ მოიხსარა სენ-ბევემა, არაფერ იცის; მაგრამ როგორცა ვთქვი, ისე კი შეეშინება. მართმა კლერიკალთაგანმა სუნით გაიგო, რომ იმ დღეს სენ-ბევეს სადილი აქვს გამართული და მაშინვე შელიოს მოახსენა. ეს ხომ დიდი პუბლიცი-

ბად და ნამდვილად კი არიან მაჰმადიური თანატოლის წარმომადგენელი.

სლოპინების ქაზანში.

რუ შჩუკი დგან იწერებინა გზეთი „სეცტოვიდში“ სარდარ-ექმერ მარ-ფაშა ლუნაის არმიის (ჯარის) მთავარმმართველად დანიშნაო; და როგორც სჩანს ოსმალეთმა ის ჯარი საომრად დაამზადაო. ბოლგარიაში ჯარის რიცხვი 75,000 კაცამდისა და 225 ზარბაზნამდის არის მიყვანილი. ოსმალეთმა რუმინის მთავრობას პასუხისგება უნდა მოსთხოვოს იმაზედ, თუ რა სიმართლით დართო იმან ნება თავის ელჩს ბელგრადში და საელოო სასახლეზედ რუმინის იალქანი გააშლევინა, მაშინ როდესაც ესეთი სიმართლე მხოლოდ სრულებით დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ეკუთვნის.

— სახალხო ფურცლებში“ გვაცნობენ მენიდან, რომ ყველა გენერლებს, ვინც კი დროებით არის დათხოვნილი, ამ ცოტასხანში ნამდვილს სამსახურზე მოუწოდებენო; ამათ რიცხვში არის ცნობილი გენერალი ბენედეკი. ეს ამბავი იმის ნიშანია, რომ საომრად მზადმა უფრო და უფრო ძლიერდება.

ბელგრადში.

პეტერბურგში მიღებული. შაჰინბატონი, 9 (21) მაისს. (ატლანტიკის ტელეგრაფით). ჩიკაგოს კონვენტმა

სტია კლერიკალებისა. მელომ დასწერა სასტიკი სტატია სენ-ბევისა და იმის მეგობრების მიერ ლეთის-გომობაზე; ის სწერდა თუ როგორ უსირცხვილოთ შეეცქოდნენო სტუმრები როსტოვისა და სემანდენ შამპანსკებსაო. პრინცი ნაპოლეონი რომ კარგით მოვიდა სენ-ბევეთან, ვიდრე გადმოხტებოდა, იქით-აქეთ იტყობოდა, ხომ არაფერს დაუნახავო. უნდა წარმოიდგინოთ, როგორი გულს-მოდებით ეცნენ ამ საგანს ყურნალისტები და ვინ იცის, რამდენი ფული იშოვნეს მექრონიკებმა სენ-ბევის სადილის წყალობით. ორი სამი კვირა სულ ამ საგანზე ლაპარაკობდნენ, მთელმა მეროპამ შეიტყო სენ-ბევის სადილი. ბოლოს ენა დააცხრეს. ასე ეგონათ ყველას დაავიწყდათ ეს ამბავი. მაგრამ ამ ცოტას ხანში ხელმეორედ გააღვიძეს ეს ძველი ისტორია. წინათ სენ-ბევი მოხდა ბასი და სხვათა შორის სენ-ბევესაც უნდა ეთქვა სიტყვა-როგორც კი ფეხზე წამოდგა ეს პატივცემული კაცი, მაშინვე შექმნეს რუზ-რუზი სენატორებმა და არხივისკოპოსებმა და სიტყვაც არ ამოაღებინეს;

შეკლას ეგონა რომ სენატში წარმოთქმული ახალი სიტყვა სენ-ბევისა იმ გვარსავე რუზ-რუზს და ხმაურობას ასტეხსო, მაგრამ არა. ახლა რომ საქმე წყდება სენატში, იმას კლერიკალებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგისათვის; ამას ყველა გრძნობს და ამისგანო სენ-ბევის ლაპარაკს ისეთი ყურადგებით ისმენდნენ და ისეთი სიჩუმე დადგა, რომ ბუზის ბუზილიც არაფერს გამოეპარებოდა იმდროსა. მართალია, კარდინალმა ლონემ რამოდენჯერმე გააწყვეტინა ლაპარაკი, მაგრამ სენ-ბევეს პასუხი არ უღირსებია იმისთვის. ლაპარაკში ერთხელ ორატორმა გაჰკიცხა პირმოთენები და ამ დროს სენატორებმა შეფოთა და ხმა მალდა ლაპარაკი დაიწყეს, მაგრამ რულანმა წამოიძახა: „უფ. სენ-ბევე, განაგრძეთ ლაპარაკი, სენატი დიდის გულ მოდგინებით ყურს-გიგდებთ“. ორატორი იცავდა სიტყვის თქმის და აზრის თავისუფლებას ისეთი ფილოსოფურად და აზრიანათ, რომ მოსისხლე მტრებიც ცუდს ვერას იტყვიან იმის სიტყვაზე. რაღა თქმა უნდა, რომ

(ყრილობამ) პრეზიდენტობაზედ თავის კანდიდატად ერთხმითა სცნა გენერალი ბრანტი, და დაამტკიცა გადაწყვეტილება, რომელიც იწონებს პრეზიდენტი ჯონსონის ბრალდების პროცესს და ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალის ოქროთი გადახდას.

ბელგრადი, 14 (26) მაისს. შავთ „სეცტოვიდში“ სწერენ, რომ ბოსნიის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს მომხდარი აღრევილობა უფრო და უფრო ძლიერდება, და გენერალ-გუბერნატორი ოსმან-ფაშა ცხნოსანი ჯარით აღრევილობის დასამწვიდებლათ განემგზავრაო.

კონსტანტინოპოლი, 14 (26) მაისს. უღმეთ დასის თავი, შეიხ-შ-ისლამი, ქრისტიანების პატრიარქი და დიდი რაბინი, მივიდნენ სულთნის სასახლეში და მადლობა მოახსენეს სულთანს რომ იმან, სახელმწიფო თათბირის გახსნის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ყველა სარწმუნოების აღმსარებელთ მართლ-მსაჯულება და თანასწორი სიმართლის მინიჭება აღუთქვა.

— სულთანმა რომ ქრისტიანთ საზოგადოება მიიღო თავის სასახლეში, მაშინ იმან უთხრა მის წევრებს: „ჩემი ნების თანახმად, რა სარწმუნოების აღმსარებელიც უნდა იყოს,

რაც აქამდის სიტყვები წარმოუთქვამს სენ-ბევეს, ეს უკანასკნელი იმისი სიტყვა საუკეთესოა. კლერიკალების შეურაცხებისაგან ის სახალხოთ იცავდა თავისუფალს აზრობას; უფრე-რება იქნებოდა, რომ სამღვდლოებს თავისუფლათ სწავლების ნება მიეცეოთ, ამიტომ რომ ის მაშინვე იმ გვართა წაიყვანს საქმეს, რომ მეცნიერებს დაადებს და მხოლოდ იმას ეცდება, რომ თავისი გაელენა დაამკვიდროსო. ახალი თავისუფლების მიცემა უპირატესობის მინიჭება იქნებოდა სამღვდლოებისათვის და ეს ძალიან სასაშიშრო და მავნებელი რამ არისო... იმან ძალიან ბევრი ილაპარაკა საზოგადოების პირმოთენებაზე; შორიდგან ვითომც ქეშმარიტი მოწმუნენი არიან, მაგრამ გული კი გარყენილი და ზნე წამხდარი აქეთო. ეს სამწუხარო ზნეობითი მდგომარეობა ნიშნავს ხალხის ჭკუაგონების უძლიერებაში ჩაყარდასაო. სიტყვით ყველა მოწმუნენ გგონია და ამ მასკასაც ყველა იმ აზრით ხმარობს, რომ როგორც კაცად იცნობდნენ; თითოეული წევრი საზოგადოებისა საქვეყნოდ აღიარებს კეთილს ცხოვრებას, მაგრამ ჩუმათ კი გარყენილებშია ჩაფლული... სენ-ბევეი ამბობს, „მე მსურს, რომ ახალგაზდობას ასწავლონ სრული ბეჯითი სწავლა გონიერებაზე დამყარებული.“

ბუშინდელს ყრილობაში ილაპარაკა მანტენ-ბოშარმა და პარდინალმა ბონ-შოზმა. მანტენ-ბოშარმა ძალიან ჭკუიანათ და მოხერხებით დაამტკიცა, რომ სამკურნალო შკოლის წინააღმდეგ გამოყვანილი მაგალითები ზოგი ბევრში მართალი არ არისო და ზოგი სულ ტყუილიაო. სახალხო განათლების მინისტრს ლურუსს უნდა ელაპარაკა მმართველობის მაგიერად და ზედვე ეტყობოდა, რომ თანა უგრძობდა ორატორის აზრებსა. შემდეგ პარდინალმა ბონ-შოზმა დაიწყო ლაპარაკი. ის ეცა „სამკურნალო მეცნიერების ლექსიკონსა“, რომელიც შეადგინა რობენმა და ლიტრემ. ეს ლექსიკონი ყოველს სტუდენტს ხელში უჭირავს და კითხულობს. პარდინალმა მოიყვანა რამოდენიმე ალაგი ამ ლექსიკონიდან, სადაც განმარტებენ, თუ რა არის სიტყვა: აზრი, სული, სინიდი და კაცი. ამისთანა განმარტებას ძალიან აძაგებს

ყველას შეუძლიან თავის სამსახურზე დაღწეულით მიადწიოს დიდი ევზირის წოდებადლისაო.

შუბინინი, 15 (27) მაისს. მარშაიდგან მოსული ამბები გვატყობინებენ, რომ ბალიციისა და პოლშის სამეფოს საზღვარზედ პოლიტიკური განდგომილების ხროვები იკრიბებიანო. როგორც ეტყობა ამ ხროვებს ლანგევიჩი ჰყრებს.

ტფილისში მიღებული. პეტერბურგში, 25 მაისს. შმალდესის ბრძანების ძალით საიმედო პოლიტიკურ დანაშაულებს, რომელნიც დასჯილნი არიან 1866 წლის წინად, გარდა მკვლელებისა და მცარცელებისა, მიეტევებთ ანუ შეუმცირებთ დანაშაულობა.

სხვა და სხვა ამბავი.

ოსმალური მართლ-მსაჯულობა. „მოსკოვის უწყებაში“ სწერენ ამ ამბავს, რომელიც სარწმუნო წყაროებიდანა აქვს შეტყობილი. „ამ 1868 წლის 11-ს მარტს ბიტოლიის ქალაქის სამოქალაქო სამსჯავროში (თემიზი ხუტუქში) გადასწვდა ერთი დავა, რომელიც გამართულიყო ერთი ქრისტიანი ქალის, თემიანე იოანევისა და ოთხი მუსულმანის (თათრის) შვიზა, ლიატიფა, სალა და ზეკირეს შუა. ეს მოდაეები, ორივე მხარე ბელუშინის სოფლიდან იყვნენ.

პარდინალი და ამბობს სულ ტყუილიაო. შემდეგ ის ეცა პროფესორის მულონის წერულ (ტენის ძაფების) სისტემის სწავლასა და ეს წიგნიც ვალანძლა. ჯერ ბასი ამით გათავდა.

მაგრამ სულ ამისთანა გონიერი ამბები ხომ არ ართობს პარიჟის მცხოვრებლებსა. პარიჟში მხიარლებაც ბევრია. ზაზაფხული მშვენიერი დადგა. ხალხი გუნდ-გუნდით მიისწრაფის ბაღებში ქალაქის გარეთ უბნებში და ბულონის ტყეში, სადაც სადამ-საღამოთ პარიჟელები ისმენენ ბულობების გალობას და წყალ-ვარდნილის (водопад) ჩხრიალს. მისისის მინდერებიც არ არის გავერანებული. ეს მინდერები ხალხით სავსეა ხოლმე და სადამ-საღამოს ბაღში ყოველთვის კონცერტებია. შამწილები კი ტულერის და ლუქსამბურგის ბაღებში ნეტარებით ატარებენ დროებას. მზემ ალი-მული აყენა; პაპარაქება სიცხეები დადგა. ბრძობენ, თვითონ პარიჟში დგომა ერთობ სასიამოვნო აღარ არისო და მისწრაფიან ქალაქს გარეთ აგარებენ და წყლებზე ზაფხულის გასატარებლათ. თუმცა ძალიან ცხელა, მაგრამ პუბლიკა მანც არ იშლის პალეროილის და მარიეტეს თეატრებში ოფფენბახის ოპერეტების მოსმენას. ამას გარდა საზოგადოება ბიპპოდრომში მიდის, სადაც ჰაეროსტატია დაბმული ჰაერში ასაშვებთ; ათ ფრანკთ ყველას შეუძლიან ჰაერში ერთ ეერს ნახევა-რზე ავიდეს იმითი და იქიდან დაჰყურებდეს მთელს პარიჟს. ამბობენ, ვითომც ორთქლის ომნიბუსების გაკეთება უნდოდესთ. ამ დღეებში უნდა ეცადნათ ამ ორთქლის ომნიბუსებით ფრენა ბასტილის მაიდანზე; თუ ეს მართალი გამოდგა, იმედია, რომ მალე დაიწყებენ პარიჟის ქუჩებზე ჰაერში მატარებელ ომნიბუსებით სიარულს. ცოტა ხანს შემდეგ იქნება ფაეტონებით სიარულიც აღარ დავეჰქირდეს!

სენ-ბევეს სადილი... მართალია, კარდინალმა ლონემ რამოდენჯერმე გააწყვეტინა ლაპარაკი, მაგრამ სენ-ბევეს პასუხი არ უღირსებია იმისთვის. ლაპარაკში ერთხელ ორატორმა გაჰკიცხა პირმოთენები და ამ დროს სენატორებმა შეფოთა და ხმა მალდა ლაპარაკი დაიწყეს, მაგრამ რულანმა წამოიძახა: „უფ. სენ-ბევე, განაგრძეთ ლაპარაკი, სენატი დიდის გულ მოდგინებით ყურს-გიგდებთ“. ორატორი იცავდა სიტყვის თქმის და აზრის თავისუფლებას ისეთი ფილოსოფურად და აზრიანათ, რომ მოსისხლე მტრებიც ცუდს ვერას იტყვიან იმის სიტყვაზე. რაღა თქმა უნდა, რომ





„საქმე ამ გვართ იყო: ხუთმეტის წლის წინ ბელუშინის სოფლის მახლობლად ერთი ამავე სოფელი მოკლული მუსულმანი იპოვნეს. ადგილობრივმა მოსამართლეებმა ბევრი ეძებეს, მაგრამ მკვლეელი ვერსად ვერ იპოვნეს. მოკლულის შვილებმა კი გამოაცხადეს, რომ ერთ ბელუშინელ აშენებულ ქრისტიანულ, სახელად მარსტის იოანესგან გაქვს ექვით. ამაზე დაიჭირეს ქრისტესი, იმისი ძმა სილანე და ამათი ბიძაშვილები—ათანასე და ზღრავე, მოიყვანეს ბიტოლში და საპატიმროში (სატუსალოში) ჩაყარეს. სამნი კი ამ იოანეს სახლიდან მარსტის, ივანე და სპასე, გაიქცნენ მონსტანტინებოლოში, რომ ამ საქმეში გამართლებულიყვნენ და დაჭერილი ნათესავები გამოეშველებინათ. მაგრამ იქიდან რომ დაბრუნდნენ სამნივე გზაზე დახოცეს ვიღაცებმა და იოანეები ისევ საპატიმროში დარჩნენ უპატრონოთა და შეუწყენლად.

„მეცის აღებით დატუსალებული ქრისტიანი უფრო უბედურია, ვიდრე გამტყუნებული დამნაშავე: როდესაც გამტყუნებულს კანონი დატუსალებს, მაშინ ისევე კანონი გადუქრის დამნაშავეს საპატიმროში ყოფნის დროს; მაგრამ ექვით დატუსალებულს კი არა აქვს განსაზღვრული საპატიმროში ყოფნის დრო, და ამისგან ხშირად ისიც მოხდება ხოლომე რომ საპატიმროში კვდება ტუსალი გაუმართლებელი და გაუმტყუნებელი. ეს ბედი ჰხდათ დატუსალებულ იოანეებს: წლიანხვერის განმავლობაში ყველანი საპატიმროში დახვდნენ, და მარსტისის სახლიდან დარჩა მხოლოდ ერთი თერთმეტის წლის ქალი, სახელად თემიანე, რომელიც ძრუშვიის ქრისტიანებმა თავის სოფელში დაიფარეს (დამალვით) თათრების ხელიდან.

„რაკი ამ გვარად ამოწყდა მარსტისია იოანეის სახლობა, მუსულმანებმა: შვიზმა, ლიატიფმა, სალამ და ზეჟირემ დაიჭირეს იმათი საკუთარი უძრავი მამულები—ორი წისკელი, ოცდა ოთხილის სახნავე მიწა და სამი სათიბი ველი—და ცამეტი წელიწადი თავისუფლად იხმარეს.

„ძრუშვიის სოფელში დამალული თემიანე, იოანეის ქალი, სრული წლოვანი რომ შეიქმნა, ერთი ბოღვარელი კაცი შეერთო ქრამად. ამ სამის წლის წინად, როდესაც ხმა გავარდა, რომ ბიტოლის ახალი გუბერნატორი, მუსნი-ფაშა, სასტიკად სდევნის თულებსა და ქურდებსა, ქმარმა და სხვა ქრისტიანებმა გააქვხეს თემიანე და გაბედდინეს, რომ თავისი სიმათლე გამოეცხადებინა იმ მამულზედ, რომელიც უსამართლოდ ეჭირათ ოთხ ძმას თათრებს, და სჭამდნენ.

„მუსნი-ფაშამ ამ საქმეს დიდი ყურადღება მიაპყრო და სასტიკი გამოძიების დანიშნა ბრძანა. ხუთ თვეს შემდეგ დაეა თემიანეს სასარგებლოდ გადასწვიტეს. ამაზედ ორნაირი განაჩენი (ილლამა) შედგა: ერთის ძალით მთელი უძრავი სადაფო მამული თემიანეს უნდა დაბრუნებოდა და მეორეს ძალით ზემოთ მოხსენებულ მუსულმანებს, ცამეტი წლის უკანონოდ მამულის სარგებლობისათვის, უნდა გადაეხდნათ თემიანესთვის 42,000 პიასტრი. (ერთი პიასტრი 6-დან 11-მდე კაპეიკია). მუსნი-ფაშამ ბამოუცხადა პირველი განაჩენის გადასწვიტლება თემიანეს და უჩიია მას, რომ მეორე განაჩენის ძალით გადასწვიტელი ჯარიმა (42,000 პიასტრი) არ გამოეერთმევენა ფაშის წინააღმდეგებისათვის.

თემიანე დაკმაყოფილდა თავის საკუთრების დაბრუნებით და ფაშის რჩევა 42,000 პიასტრის შესახებ—მიიღო. ამბობენ, რომ შემდეგში, რაოდენიმე ნაწილი ამ ფულებისა წაართვეს თემიანეს წინააღმდეგებსა, მაგრამ ეს კი ნამდვილია—თემიანეს არა რგებია რა იმ ფულიდან-

„შაშას რომ გამოსცლიან ხოლომე და სხვა ახალი ფაშა მოვა, ჩვეულებათა სჭირს, რომ მიატანენ ხოლომე იმას და გადასწვიტელი საქმეების ახლად გამოძიებასა სთხოვენ. ბიტოლში რომ მუსნი-ფაშის მაგივრად თეფიკ-ფაშა მოვიდა, მოვიდნენ ამასთან თემიანეს წინააღმდეგი მუსულმანები და სთხოვეს, რომ იმათი და თემიანეს საქმე, მუსნი-ფაშისგან გადასწვიტელი ახლად გავრჩიათ. თეფიკ-ფაშამ იმათი თხოვნა გადასცა მეჰქეში (სამსჯავროში) და იქ ორი მუსულმანის დამოწმების ძალით, რომელთაც აჩვენეს, რომ სადაფო მამული ყოველთვის ეკუთვნოდა მოხსენებულ მუსულმანებს,—ყაღმა მუსულმანების სასარგებლოდ გადასწვიტა საქმე. გადასწვიტლება გამოუცხადეს თემიანეს და ამასთანავე თეფიკ-ფაშის ბძანებით ქანდარებით წაიყვანეს პრილეგში, რომ თითონაც დასწრებოდა, როდესაც იმის მოდავეებს იმის საკუთარ მამულის მფლობელობაში შეიყვანდნენ. თემიანეს უნდა და წინააღმდეგი საბუთები გამოეცხადებინა, მაგრამ ყარაულებმა აღარ დააცალეს და წაიყვანეს. ამ შემთხვევამ ისე შეარყია თემიანეს მთელი არსება, რომ ის გახდა ავად და ბიტოლის საავადმყოფოში დიდხანს იავდა.

„როდესაც ბიტოლში მუსტაფა ფად (გუბერნატორად) შეერთდებოდა, თემიანემ მისკა ამას არხა თავის საქმის უსამართლოდ გადასწვიტლებას. შეერთდებოდა ეს საქმე ისევ თემიანე-ჰეჟეში (სამსჯავროში) გადასცა, სადაც უნდა განეხილა ისევ იმ ყაღს.

„ამ შემთხვევაში საქმე გამოიძიეს ამ გვარად: იმ ორ მუსულმან მოწმეს მეროდ ჩამოართვეს უწინდელი ჩვენება; შემდეგ ამისა აატარა-ჩატარეს ბიტოლის ბაზარზე და ყველა მუსულმანს, ვინც კი წინ შეჰხედებოდათ, ჰკითხავდნენ, თუ როგორ იცნობენ ამ კაცებს. მათრებიც ამბობდნენ, რომ ამათი ურიგო არა გავიგონარაო. ამას შემდეგ ყაღმა გამოაცხადა გადასწვიტლება თემიანე იოანეის წინააღმდეგების სასარგებლოდ და ქონება, რომელიც მემკვიდრეობის ძალით ეკუთვნოდა თემიანეს, ისევ მიეცა შეიზას, ლიატიფას, სალას და ზეჟირეს.

„ამ გვარად მკვლელობამ, ძალიან და მტაცებლობამ პატარაობითვე დააობლა თემიანე და დაკარგინა თავის მამული ქონება; ახლა კი, სამართო სჯულის ძალით, ესე იგი ორი მუსულმანის მოწმობით, ეს ქონება სრულებით წაერთო იმას და მიეცა იმ მუსულმანებს, რომელნიც იყვნენ მიზენნი ამის ამდენი უბედურებისა! იმ სამსჯავრომ, რომელმაც განუჩინა თემიანეს ეს უბედურება, არც ძრუშვიის მოსახლეებსა ჰკითხა რამე თემიანეს საქმეზედ, რომელთაც სიკედელს გადაარჩინეს, ის და არც იმის სამშობლო სოფლის, ბელუშინის, მცხოვრებლებს, რომელთ თვალწინაც მოხდა ეს აწერილი უბედური ამბავი; სამსჯავროს ამათი მოწმობა არც კი გაახსენდა, რადგან ქრისტიანების მოწმობას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს ოსმალის სამფლობელოშიდა უმეტესად ყაღის სამსჯავროში“

**სახაზინო ბანსხაღება.**

თელავის მაზრის სოფელ ახმეტაში, უფალოდ გაიყვა იჯარო საეკლესიო მამული: ორა ზეარი, რვა დღის ხოდაბუნი, რომელიც შიგ შუა ახმეტაში მდებარეობს და ვარჯა საფო-კარფა და სავანახეთ, და წისკელი ორი დღიური ცარიელი მიწით, რომელზედაც დგას ფიცრული ქვევრბ ჩაყრილი მარანი. მისაც ამ მამულის იჯარით აღება მსურს, იმას შეუძლიან შეიტყოს პირობები საეკლესიო მამულების გამგებლისაგან, უ. არჯევანიძისაგან.

— ქ ა ვ კ ა ს ი ი ს ა ქ ე თ პ რ ი კ ა ზ შ ი ამ წლის 21 ივნისს მოხდება ვაჭრობა, კანონიერი განმეორებით (კერეტორაქტი), ქვეით აღნიშნულ მბილისის მცხოვ-

რებთ სახლების გასასყიდად, რადგან იმათ ვადაზედ არ შეუტანიათ 15 წლის ვადით აღებული პრიკაზის ვალი; ამ სახლის პატრონები არიან: 1) ივანე სიმონის ძე საათაზოვი (მკვდარი) რომელსაც აუღია თავის სახლის დაგირავებით 1859 წელს 6000 მან.; სახლი იმყოფება 1 განყოფილების მე-6 ნაწილში; და 2) მიხეილ და აკულა ხეჩატუროვისა, რომელთაც აუღიათ ვალი სახლის დაგირავებით 1861 წ. 2500 მანეთ.; სახლი იმყოფება 2-ზე განყოფილების 14 ნაწილში.

მისაც ამათ სახლების ყიდვა მსურსთ, იმათ შეუძლიანთ სახლების დაფასების სია იხილონ მაცკისის აქეთის მხრის პრიკაზში.

ქ ა ვ კ ა ს ი ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო კ რ უ გ ი ს საინტენდენტო სამმართველოში ამ 1868 წლის 10 ივნისს მოხდება ვაჭრობა ზეპირად და დაბეჭდილი განცხადებებით, მომავალი 1869 წლისთვის 1127 პატრუქ-გაყრილი თეთრი დავთრების დასამზადებლად, რომელთაც უნდა ჰქონდესთ დაბეჭდილი სათაურები და დახაზული ფურცლები. ამათი ნიშნით, იჯარის პირობა და დავთრების სია შეიძლება იხილოს მსურველმა საინტენდენტო სამმართველოში.

წარდგენილი გირაო უნდა ედარებოდეს იჯარის ფასის ნახევარს.

პაკეთში დაბეჭდილი განცხადებები მიიღება დილის თერთმეტ საათამდის ვაჭრობისა და ვაჭრობის გამეორების (კერეტორაქტის) დღეს. ამ ვაღს შემდეგ პაკეთში დაბეჭდილი განცხადებები აღარ მიიღება.

განცხადებებთან უნდა წარადგინონ გირაოები და წოდების დოკუმენტები, აგრეთვე მოწმობა ვაჭრობის სიმათლე აქვს თუ არა იმას, ვისაც ვაჭრობაში გარევა მსურს. ახნაურთ ეს მოწმობა არ მოეკითხება, მაგრამ წოდების დოკუმენტი კი უნდა წარადგინონ.

მისაც ზეპირად სურთ ვაჭრობა, იმათ გახსნილი განცხადებით უნდა გამოაცხადონ თავის სურვილი და ამასთანავე წოდებისა და ვაჭრობის დოკუმენტები წარადგინონ.

განცხადება უნდა იყოს დაწერილი 70 კობეიკან ლერბის ქელაღზედ.

მისაც ამხანაგობითა მსურსთ ვაჭრობა, იმათ თვინათ განცხადებაში უნდა კაფიოდ გამოხატონ: ერთად იღებენ იჯარას, თუ განაწილებით და ამასთან, რომელი რამოდენა ნაწილს კისრულობს.

პირობების წაკითხვა შეიძლება საინტენდენტოს 4-ზე ნაწილში, ყოველ დღე 9 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდის.

**პროზრისისტი.**

შველს ჩემი ვშინიან, მის თვალშიც ენახე ბისტი; მე ხომ მოქრთამე არ მქვიან, მაშ რა მქვიან?—პროგრესისტი.

ლიბერალიზმა მიუყარა, მანამ შეველ სამსახურში; შინც კი მოქრთამეს ჰგვანდა, მსწრაფლ ვაყრიდი ნაცარს პიროში.

სიტუტს ვერ მოვიფენდი, პიროში ვეტყოდი მართლას; არვის წყენას არ დავსდელი, მჩაგრეთლ ვასხამდი მე შხამსა.

მართობასა ვქადაგებდი, არ მიყვარდა . . . რიცხვი მთავალ ვლეთან ვასწოდებდი, სიმათლისათვის ვიყავ ფიცხა.

უსაქმო ხალხსა ვესზობდი, მართა სიზანტე და ძილი; მე ამისთვის ვეკლას ვტულდი არ მაჭამეს არც მათ ხილი.

მსრეთ პეერი ვიტყვიტკე, მანამ ვიყავ მხოლოდ ხლისტი; რაკი პროტოკალი ვხხიციკე,

აწ დაშარქვეს პროგრესისტი.  
რაც შეუღეტი წერასა, ქლიტე დიადე ენასა; პატივი ვევი უველასა, წიწილა მივე ძერასა.

აქ მივმართე ჩინოვნიკებს, დიდრონთ ვუხრი მდამლად თავსა; მთელი ნელ-ნელა ახლა ჩინებს, ბამოველი დიდს აღავსა.

ჩემს უფროსებს პატივსა ვსცემ; შარ-შარებს ვარიდებ თავსა; თუნდ სტულოდნენ, ხმას არ გავცემ. მეტყვი მხოლოდ „ჩა“ და „ტაქ“-სა“.

პროტეკციას მიკეთებენ, თუმც არ ვარ მე იურისტი და ნელ-ნელა წინა მსწვენ, რადგანაც ვარ პროგრესისტი.

შინოვებს, დატაკ-გლებებს მათს საქმეზედ ვეტყვი: აპას! შულოანებს, თუ დიდ-კაცებს, მოდი, ნუ მოუხდი შლაპას!

დაბალ ჩინებს ვაგრძობინე, რომ სიზანტეს უქლვის ქისტი; მსრეთ ყველას ვათქვიენე, აი ეს არის პროგრესისტი.

თუმც არ ვიღებ ფულად ქრთამსა, მდიდრებს უღვამ წინად სკამსა; ჩვეულებრივ ამ ჩვენს ხალხსა ჩემ-ჩუმბა ვუხდი მადლსა.

შსარგებლოდ ვაღს არ ვიღებ, თუნდ არ მთხოვონ ერთი ბისტი ლარიბად ხომ ვერ ვიცხოვრებ; მე რა მქვიან? პროგრესისტი!

ბოსტინებში ვმასხარობ, შალბატონნი იცინიან; შვერსა სიტყვას არა ვხმარობ, მანათლებულს მქძხიან.

მეტრფი ქალის ლამაზს თვალებს, თუმც არა ვარ ჟუნისტი; მისი ქმარი არას იგებს; იცის, რომ ვარ პროგრესისტი.

ხვალ მას ადგილს დაუცლიან, თუმცა არის ძრიელ სუსტი; მე ხომ მოქრთამე არ მქვიან, მაშ რა მქვიან?!—პროგრესისტი.

**საბილიოზრავიო სნობა.**

ტფილისში ბერენშტამის, ალადათოვის და მნუჯიანცის მაგანიში, აგრეთვე მედიკოსის სტამბაში ისყიდება:

**ვეფხვის-ტყაოსანი**  
შასი ათი შაური.